წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. სამშაბათ, 13 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადებისათვის:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ... 13 ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გრძელვადიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 506 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 506

## მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

### ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „სამშობლო“-ზე

**წელიწადი მესამე**

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან.
წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

რედაქტორი—ი. თ ცინცაძე.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო“.

ღრმათ დამწუხრებული მამა ლუკა ვასილის ძე ჯაფარიძე, ბაბუა ვასილ გრიგოლის ძე ვაჭარაძე მეუღლით ფედოსი გრიგოლის ასულით, ბიძა მიხეილ სამსონის ძე გვასალია მეუღლით, ლიდა ალექსის ასულით, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ პირველი საყვარელი შვილის, მეორე ძვირფასი შვილი-შვილის და მესამე დაუვიწყარი დისწულის

### ქოქიკა (გიორგი) ლუკას ძის ჯაფარიძის

უდროოთ გადაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს $4^1/_2$ საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ვ. ვაჭარაძის სახლიდან (ჯაჭვის ხიდთან) სამშაბათს, 13 დეკემბერს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე. დაკრძალული იქნება საფიჩხიის სასაფლაოზე.

უზომოთ დამწუხრებულნი შვილები ბეგლარ, გოგუცა და პელაგია, რძალი დალიდა დორტე ასათიანის ასული და სიძე ეფრემ იოსების ძე გოგორიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველნი საყვარელი მამის, მეორე ძვირფასი მამამთილის და უკანასკნელი დაუვიწყარი სიმამრის

### თეოფილე ზაალის ძე ასათიანის

გარდაცვალებას. გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან, მეორე ალექსანდროვის ქუჩიდან დღეს, სამშაბათს 13 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე. დაიკრძალება ოლასკურის სასაფლაოზე.

დამწუხრებული ნატალია დავითის ასული, მღვდ. ქრისტეფორე და შალვა ვლადიმერის ძენი მარიამ და გოგუცა ვლადიმერის ასულნი ჩაგანავები, გაიანე ბესარიონის ასული ხოშტარიასი, კირილე კაციას ძე ჩაგუნავა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, პირველი საყვარელი მეუღლის, მეორენი ძვირფასი მამის, მესამე დაუვიწყარი ძმის და მეოთხე ნათლიის ნადვორნი სოვეტნიკის

### ვლადიმერ ბესარიონის ძე ჩაგანავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია 15 ამა დეკემბერს დილით ხუთშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე. საკუთარ ბინაზე, ლევაშოვის ქუჩა. ცალკე წერილები არ დირიგდება.

უზომოდ დამწუხრებულნი ბრბალე ნიკოლოზ ზვიადაძის ასული ალექსანდრე სალარეიშვილი, ნესტორ ნიკოლოზის ძე, სონია ნესტორის ასული და პარმენ ნესტორის ძე ზვიადაძენი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, პირველი საყვარელი მეუღლის, მეორე ძვირფასი ბიძის, მესამე დაუვიწყარი სიძის და მეოთხე და მეხუთე საყვარელი ბიძის

### ანტონ გიორგის ძის სალარეიშვილის

გარდაცვალებას. გამოასვენებენ 15 დეკემბერს, ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარი ბინიდან, ძველი ხონის ქ. დაიკრძალება ოლასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს $5^1/_2$ საათზე. 3—1

ქალიშვილები: სოფიო დავითის ასული ანტონოვისა, რითა დავითის ასული სიდავასი, ვაჟიშვილები: ივანე, კონსტანტინე და იოსებ დავითის ძენი სიდავანი და ძმა პეტრე პეტრეს ძე ფილიპეშვილი უღრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც კეთილი ნება და პატივი სცა

### მარიამ პეტრეს ასულის სიდავას

ხსოვნას და დაესწრო პანაშვიდებს და დაკრძალვას.

„სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვების შვილები“.

**ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ საშუალებით** შეიძინა საუკეთესო ხარისხის (ინგლისის) დიდძალი პარტია

**შაბიაბანი და გოგირდი.** შაბიაბანის შეძენა შეუძლიათ: სასოფლო ბანკებს, კოოპერატივებს და კერძო მევენახეებს **ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ მიერ მიცემული მოწმობით,** რომელიც საქონლის შეძენისას წარმოდგენილი უნდა იქნეს **სავაჭრო სახლში.** 6—2

**საჭიროა** **ბინა 3 5** ოთახიანი. სასურველია ელექტრონის განათებით და ეზოს შენობებით. მისამართი: სასტუმრო „ფრანცია“, ოთ. იაკ კალნინი.

**ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული,** მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გოშვიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომარჩინა ბოვში უპერაციოთ **ვარლამ ხუჯაძე.**

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**
ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი** **ი. ჩარგეიშვილი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ხინაგანი ხეოვერისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** **ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩიჩინაძის (წულეისკირისეული)

**ექიმი** **მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

**ოდესის სამეანო კურსებ დამთავრებული**
**ბებია** **ს. ს. ნემსაძისა** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებეჯაშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

**ბებია** **მ. მ. ქოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის **სამოქმ. ინსპექტორი** მიიღებს მთხოვნელებს 11, 12 და 13 დეკემბერს საღამოს ხუთ საათიდან შვიდ საათამდე. ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის შენობაში.

**საჭიროა** **მზარეული კაცი ან ქალი,** აგრეთვე **ბიჭი** 10—14 წლ. მისამართი: *1-ый Садовый переул.*, ეფრემიძის სახლი, ბინა მ. ი. თათქარიშვილისა

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“ ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 12 დეკემბრიდან

ომის მიმოხილვა მიმდინარე ამბები

ქალი, რომელმაც სიკვდილს თვალებში შეხედა

დრამა 5 ნაწ. ჩერნოვისა და რადინის მონაწ.

ანტონმა სიძედრი დააწუნარა კომედია 2 ნაწ. ანტონ ფერტონის მონაწ.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

რუსის ჯარი სალონიკში სამხედრო ნამდვილიდან

უცხო სული

თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

ინგლისური კლიტე სახუმარო

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 12 დეკემბრიდან

ომის მიმოხილვა სამხედრო სანახ.

2 სერია

პანნა მერი

მხატ. დრამა 4 ნაწ. გზოვსკაიასი და გაიდაროვის მონაწ.

უბედური მეგობარი სახუმარო

ანონსი: ხუთშაბათიდან, 15 დეკემბრიდან

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები

აფთრები (ვამპირები) მე-3 სერია

გაჭიანურებული სიყვარული სახუმარო

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციის ბრძოლის პირზე მცირე ბრძოლები სწარმოებს, ჰაერში მოქმედება გაცხოველდა.

**კავკასიის ასპარეზი.** დიდი თოვლის გამო მოქმედება თითქმის სრულიად შესწყდა.

**დასავლეთის ასპარეზი** მაასის მარჯვენა ნაპირზე და შამპანში გერმანელთა არტილერია მძლავრად მოქმედებდა.

**იტალიის ასპარეზი.** ავსტრიელები ენერგიულ სროლას აწარმოებენ აღმოსავლეთის ნაწილში.

**რუმინეთის ასპარეზი.** დუნაის მარცხენა ნაპირზე მოწინააღმდეგე რუმინელებმა სროლით მოიგერიეს. დობრუჯაში რუმინელები უკან დახევას განაგრძობენ.

# მსოფლიო ომი.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე, სოფ. გელენინის მიდამოებში, ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს და 7 გერმანელი დაატყვევეს. 8 ქრისტეშობისთვეს, ნაშუადღევის 3 საათზე ჩვენმა მფრინავმა კაზაკოვმა ავსტრიელთა საფრენი ჩამოაგდო ლუცკთან ზოლოჩევ ტარნოპოლის რკინის გზის ჩრდილოეთით მოპირდაპირემ ძლიერი სროლა აგვიტეხა ზარბაზნებით, მერე იერიშით წამოვიდა ზვიჟენის მიდამოებში ჩვენი სროლის მიუხედავად მაინც შესძლო ჩვენი ერთ ერთის როტის დანგრეულ სანგრებში შემოჭრა, თუმცა მეზობელ როტების დახმარებით მტერი კვლავ გავდევნეთ. მდ. ბისტრიცაზე ზარბაზნის სროლით მოპირდაპირის ერთი როტა, რომელიც ჩვენს სანგრებს მოუახლოვდა, დავიფრინეთ სოფ. კრივიჩის მიდამოებში გავფანტეთ მოპირდაპირის ორი როტა სოფ. ხლებ კოვოს სამხრეთით.

**კავკასიის ასპარეზზე.**

არსებითი არაფერი მომხდარი. მთებში დიდი თოვლი დასდო. ადგილ-ადგილ თოვლის ზვავი ჩამოწვა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

მდ. დუნაის მარცხენა ნაპირას მტერმა შემოტევა სცადა, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ.

დობრუჯაში მტერმა ძლიერა ჯარით შემოგვიტია მთელს ბრძოლის ხაზზე, წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა ჩრდილოეთისაკენ იწყო დახევა. ბაბადაღის ტბის აღმოსავლეთ, ეპისალის მხრიდან იერიშით წამოსული ბულგარელები ვაჟკაცურის შეტევით ტბასა და ჭაობებში გადავლალეთ. მომეტებული ნაწილი დაიხრჩო 115 კაცი დავატყვევეთ.

**შავი ზღვა.** ბოსფორთან დავღუპეთ ოსმალების 2 მატორიანი ნავი

**პეტროგრადი.** მთავარშტაბის მთავარი სამართველო აცხადებს, რომ ამიერიდან ნებადართულია იმპერიის მოსახლეობამ მიწერ მოწერა იქონიოს მტრისმერ დაპყრობილ რუსეთის ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობასთან. გაიგზავნება მხოლოდ უბრალო წერილები კონვერტში ჩადებულ საფოსტო ქაღალდის ნახევარი. ასეთი წერილები გარკვეულის ხელით უნდა იწერებოდეს რუსულ, გერმანულ, პოლონურ, ლიტვურ, ლატიშურს ენაზე და მხოლოდ ადგილობრივ და კერძო ხასიათისა უნდა იყოს. ასეთი წერილები უმარკოდ გაიგზავნება. ისინი უნდა გაიგზავნოს მთავრშტაბთან არსებულ სამხედრო ცენზურის განყოფილებაში (ტორგოვაია, 12).

**ლონდონი.** თემთა პალატა. ლლოიდ-ჯორჯმა განმარტა სურსათზე კონტროლის დაწესების აუცილებლობა, რადგანაც შტატებში და კანადაში მოუსავლობა იყო, არგენტინიდანაც ნაკლები იმედია, რუსეთის ხორბლით ძნელია, სარგებლობა, ინგლისური ხორბალი კი მეტად უმნიშვნელოა. კანტროლი საჭიროა, რომ არავინ დაიმშეს იმის მიზეზით, რომ მეორეს ჭარბად ჰქონდეს ყველაფერი. ირლანდიის საკითხის მოწესრიგება მოკავშირეთა გამარჯვება იქნება. მოკავშირეთათვის საჭიროა საერთო მიზანი. საერთო მოქმედება და საერთო ბრძოლის ხაზი და არა მთლიან. არ უნდა იყოს ისეთი ასპარეზი, სადაც მეტად ძლიერი და მრავალრიცხოვანი ზარბაზნები იქნება თავმოყრილი, მაშინ როდესაც მეორე ასპარეზზე შიშველის მკერდით მოუხდებათ თავის დაცვა.

**10 ქრისტეშობისთვე.**

**ქრისტიანია.** დალუპეს სანაპიროს გემი „პრიმა“ 86800 ფუთის მტვირთველი გემი „ომოტი“ გერმანელებმა დაატყვევეს და კუქსჰაფენში წაიყვანეს.

**პარიზი.** საღამოს ოფ. ცნობა. ლუნემონ ვოს მიდამოში მოპირდაპირემ ძლიერი სროლა აგვიტეხა ზარბაზნებით. სხვა ადგილებშიაც საკმაოდ ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა. ბერნი-ო-ბაკსა დარეისს შუა სროლით გავანადგურეთ მოპირდაპირის მოშხამულ გაზის მანქანები.

**რომი.** ტრენტინოს ასპარეზზე, ადიჯეს ველში ზარბაზნების სროლამ უმწვერვალესობამდე მიაღწია, აზიაგოს მიდამოებში. იულის ალპების ასპარეზზე, პლავის და იზონცოს შუა ნაწილში, ვერტონბიცისა, გორიცისა და მონფალკონეს, მიდამოებში მედგარს სროლას აწარმოებდა მოპირდაპირე.

**პარიზი.** მფრინავი კაპიტანი ბოშანი, ჰაერში ბრძოლის დროს, ტყვიით გაგმირეს დუომონის მიდამოებში სოფრენი ჩვენს მხარეს დაეცა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**მიმომხილველთა აზრი.**

„რუსკ. ინვალიდი“ სწერს: მდ. დუნაის ქვედა მიმდინარეობაზე გერმანელები მედგრად წინ მიიწევენ; აგრეთვე უტევენ რუმინელებს ბუზეოს მიმართულებით. მათი მიზანი რუმინიის ჯარი ქ. სერეტ-ბრაილოვის შუა მოიმწყვდევიან, მაგრამ რუმინელები მანევრობის წყალობით ამ მდგომარეობიდან გამოდიან. გერმანელებს შემდეგში პირდაპირი ბრძოლა დასჭირდებათ და იძულებული იქნებიან რუმინიის ჯარის შემოვლაზე ფიქრს თავი გაანებონ.

**საბერძნეთი.**

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ, რომ მოკავშირეები ჯერჯერობით არ გასცემენ ბრძანებას ათინაზე თავდასხმის შესახებ. მოკავშირეთა ფლოტი ყუმბარებს არ დაუშენს საბერძნეთის სანაპიროებს ვიდრე განსაკუთრებულ ბრძანებას არ მიიღებს.

— საბერძნეთში მდგომარეობა კვლავინდებურად გამწვავებულია. მეფე კონსტანტინეს მთავრობა ვენიზელოელების დევნას განაგრძობს. ვენიზელოსს განუცხადებია, თუ მეფე ჩემ მომხრეებს სიკვდილით დასჯის, მე კიდევ მის მძევლებს დავხოცავო.

— ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ადმირალ ფურნიეს მიერ პირეის ნავთსადგურში ჯარის ხმელეთზე გადასხმა გამოუსწორებელი შეცდომა იყო.

**ზავის გარშემო**

ჰოლანდიაში გერმანელი აგენტები ხმას ავრცელებენ, რომ, თუ მოკავშირეებმა ზავი არ მიიღეს, ინგლისს 400 წყალქვეშა გარს შემოერტყმევა, ლონდონში სხვადასხვა სენის გამავრცელებელი ბაცილებით გამსილ ყუმბარებს ჩამოყრიან და მოიშველიებენ კიდევ ბევრ ახალ საშუალებებს, რომლებიც სისასტიკით ყველა აქამდე ხმარებულ საშუალებებს გაცილებით აღემატება.

**მიმომხილველთა აზრი**

„რეჩი“ სწერს: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუმინიის ოპერაციის საპასუხოთ მოკავშირეები გერმანელთა რომელიმე სუსტ ბრძოლის პირას შეუტევენ. ეს მოსაზრება სავსებით გამართლდა; ფრანგებმა ვერდენთან დიდად დააზარალეს გერმანელები და ჰინდენბურგი კვლავ იძულებული გახდება ჯარი გაგზავნოს დასავლეთ ასპარეზზე.

**სამხედრო მოქმედება.**

ხმელთა შუა ზღვაში გერმანელთა წყალქვეშამ დაძლუპა ინგლისის ტრანსპორტი „რუსტუდი“.

**სხვადასხვა ამბები.**

გერმანელებს ბულგარელებისათვის ყოველთვიურად 50 მილ. დაუდვიათ კონტრიბუციათ.

— იმპერატორი ვილჰელმი ამ ჟამად გერმანეთის ერთი სამეფოდან მეორე სამეფოში მოგზაურობს. ამის მიზნად გაზეთები ასახელებენ სამხედრო მოქმედების გაძლიერების, პროპაგანდას სხვადასხვა სამეფოთა და სამთავროთა მმართველობის შორის.

**საბერძნეთი.**

მოკავშირეთა მმართველი წრეები უარყოფენ ხმებს, ვითომ მათი ელჩები მეფე კონსტანტინეს წვეულებას დაესწრნენ.

— მეფე კონსტანტინეს ბრძანება გაუცია დაატუსაღონ ვენიზელოსი, რომელსაც სახელმწიფო ღალატისათვის სამართალში მისცემენ.

— მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილებით საბერძნეთის მთავრობა, 18 და 19 ნოემბერს მათ ქვეშევრდომთა მიერ ნახულ ზარალს ათინაში, აანაზღაურებს.

— მოკავშირეთა შორის განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ იტალია ერთობ თანაგრძნოეით ეპყრობა საბერძნეთს და თითქმის მფარველობას უწევს. იმ დროს, როდესაც მოკავშირეთა დესპანები ათინიდან გამოვიდნენ, იტალიის დესპანი დემონსტრატიულად დარჩა ათინაში.

— მოკავშირეთა შეერთებულმა ფლოტმა საბერძნეთის სანაპიროების ბლოკადა გააძლიერეს. არც ერთ ნავს საბერძნეთისას ზღვაში არ უშვებენ.

— საბერძნეთის მთავრობა უარყოფს იმ ხმებს, ვითომც ვენიზელოსელებს იგი სიკვდილით სჯიდეს.

# სახელმწიფო სათათბირო.

(პ. დ. ს.)

**9 ქრისტეშობისთვის სხდომა.**

სახელმწიფოს სათათბიროს სხდომა 12 ს. 30 წუთზე იწყება.

**თავჯდომარე როძიანკო:** თანახმად თათბირის გადაწყვეტილებისა სათათბიროს წევრი ლემპიცკი გამორიცხულ იქმნა სათათბიროს წევრთა შემადგენლობიდგან.

**შახოვსკოი** ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ განზრახულ ერობაში არა სჩანან სასულიერო წოდების წარმომადგენელნი.

**სტრუკოვი** საჭიროდ არა სცნობს პროექტის განხილვის დაჩქარებას, ვინაიდან ომის დასრულებამდე ვერ მოესწრება.

10 ქრისტეშობისთვე. სხდომა განახლდა 2 ს. 18 წ.

თავჯდომარეობს **ნეკრასოვი.**

**სავენკო** აღტაცებით ეგებება კომისიის წინადადებას და თვითაც ამტკიცებს, რომ მთავრობა ხშირად ბოროტ მოქმედობს 87 მუხლით.

**ჩხეიძე** უკმაყოფილებას აცხადებს, რომ თათბირი მხოლოდ წვრილ პროექტებს ეხება და არსებით უყურადღებოდ სტოვებს.

**ზამისლოვსკის** მოჰყავს ვრცელი მიმოხილვა 87 მუხლის კანონმდებლობისა. კანონები 300-მდე იყო გატარებული, მათ შორის ისეთი დიდმნიშვნელოვანი, როგორც სარწმუნოების თავისუფლება, ცლებთა თანასწორობა და სხ. მაგრამ მათგან მხოლოდ ორიოდე უმნიშვნელო კანონი განხორციელდა.

**შინგარევის** სიტყვით, ომამდე გატარებულ იქმნა 16 კანონ-პროექტი, ხოლო ომის დაწყებიდან 384. მართალია, სტოლიპინმა განახორციელა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი კანონ-პროექტი. ამით კი მას ჰსურდა საერთო სიმპატიის მოპოვება. მთავრობა წინააღუდგა სწორე არჩევნებს, საზოგადოებამაც წინააღმდეგობით უპასუხა მის სურვილს. ომამდე სახელმწიფო სათათბიროში დიდი საკითხები 1—2 ხმის უმრავლესობით სწყდებოდა, მაგრამ რაც მტერმა გადალახა რუსეთის საზღვრები, მაშინ სათათბირომ ერთსულოვანი მოქმედება გადაწყვიტა.

# ბნელი ძალები.

საკანონდებლო დაწესებულებებში და პრესაში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ რუსეთის შინაურ ცხოვრების მიმდინარეობაზე დიდ გავლენას ახდენენ ეგრედ წოდებული „ბნელი ძალები“, რომლებშიც ყველა თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ, გარდა სახელმწიფოს სარგებლობის თვალსაზრისისა. ამით ისე მტკიცედ აქვთ მოწყობილი ორგანიზაცია, რომ პირველის შეხედვით დაუჯერებელიაც არის, თუ როგორ მოაწყვეს იგი და ისიც ფარულად, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს თავდაცვისათვის ორგანიზაციის სასურველად მოწყობა ვერ შესძლეს მთავრობისა და საზოგადოების გაერთიანებულმა წარმომადგენლებმა. განსაცვიფრებელის სიმტკიცით და დაჟინებით უშლიან ხელს ეს ძალები მთავრობისა და ხალხის გაერთიანებისა რუსეთის შინაურ ცხოვრების მოწესრიგების საქმეს. მაღალ თანამდებობებზე გაჰყავთ თავისი კანდიდატები, რომლებიც მუდამ არასინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას „ბნელი ძალები“ სხვა და სხვა ხრიკებისა და ფანდების წყალობით რუსეთის შინაურ ცხოვრება თავის მიზნის შესაფერ იერს აძლევენ: უკიდურესობამდი აძლიერებენ ცენზურას, მტრულად ექცევიან საკანონმდებლო დაწესებულებებს და სდევნიან არა რუსებს ერთის სიტყვით რუსის ხალხის ეს ბოროტი სულნი სჩადიან იმას, რაც ხელს უწყობს რუსეთის შინაურ ცხოვრების არევ დარევას

სათათბიროსა და საბჭოს ტრიბუნიდან მძლავრად გაისმა ხმა, რომელიც ამ ბუდის დანგრევას მოითხოვდა, მაგრამ ბუდე იგი წინანდებურად აფრენს დრო და დრო რუსეთისათვის საბედისწეროდ მოვლინებულ ყორნებს. მილიუკოვს მოკვლას უპირებდნენ კადეტთა პარტიას მუქარის წერილი მოსვლია და ისევ ის „ბნელი ძალები“ მის წევრებს გაჟლეტას უქადიან, მუქრის წერილი მოუვიდა ა. ფ. ტრეპოვს მხოლოდ, იმიტომ რომ მან სათათბიროს თავმჯდომარესთან მიმდინარე საკითხების შესახებ იმისა ამნაირად, ვინც კი გაბედავს და რუსეთს განახლებისა და გაძლიერებისაკენ მოუწოდებს, და სდევნიან.

იმდენად მტკიცედ აქვთ შემოფარგლული „ბნელ ძალებს“ თავის მჭიდრო წრე, რომ ვერავინ მათ ვერ შეეხება. რამოდენიმე ხნის წინად სახ. საბჭოს წევრის წარჩინებულ თავადის ვასილჩიკოვის მეუღლემ „შავი ყორნები“ს და მხილებასა და მათი მოქმედების გამომზიროებს შეუდგა, მაგრამ ბედმა უმტყუნა წარჩინებულ თავადის გულწრფელ მეუღლეს და თვითვე იძულებული გახდა ბრძოლის ველი დაეტოვებინა. ჩვეულებრივად, რალაც ფასული საშუალებისა და ხრიკების წყალობით ვასილჩიკოვისა ხელადვე მოაშორეს სატახტო ქალაქს და თავის მამულში გაამგზავრეს.

ამ გვარად ეს ბნელი წრე ხელ უხლებელი რჩება მუდამ და თავის სამარცხვინო მოქმედებას განაგრძობს მაშინ, როდესაც რუსეთმა სხვა მოკავშირეებთან ერთად გერმანეთს ზავზე უარი უთხრა და გერმანეთის დამარცხებისათვის და დაკარგულ პროვინციების დასაბრუნებლად გადასწყვიტა „ომი ბოლომდის.

ა. კობახიძე.

# ქართველი გრიგორიანები*)

**რედაქციისაგან.** ეს წერილი იმდენად დასაბუთებულად მიგვაჩნია რომ სავსებით გამოვბეჭდეთ.

ქართველთა და სომეხთა ურთიერთ ცუდ განწყობილებას ამ უკანასკნელ დროს, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ერთი მუგუზალიც დაერთო: დავა ჩამოვარდა იმ ქართველების ქართველობაზე, რომელთაც ახლო თუ შორეულ წარსულში გრიგორიანობა მიუღიათ, ამა თუ იმ გარემოებათა ზედგავლენით.

ჩვენთვის ეს საკითხი ისე უდავო და ნათელია, როგორც უდავოა ქართული შთამომავლობა იმათი, რომელთაც ჩვენში ოდესმე კათოლიკეთა თუ მაჰმადის სჯული მიუღიათ. მაგრამ ჩვენთვის უდავო საკითხი სომხის საზოგადოების ზოგიერთმა წრეებმა სადავოდ გახადეს — ქართველები გრიგორიანების სარწმუნოებისა ჩვენ გვეკუთვნის არა მარტო სჯულითა, არამედ სულითაც, შთამომავლობითაც, სისხლითა, ხორცითა, ზნე-ჩვეულებითა, ენითა, კულტურითა... რატომ? რა საფუძველით? რაა მიზეზი იმისა, რომ ქართველებს გვარტომობით, თუმცა და არა მართლმადიდებელთ, უფლება არა აქვთ ქართველის სახელი ატარონ, ქართველი ერის კერძად, ძმად, ჰქირისუფლად ირიცხებოდნენ, ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ?

ამის მიზეზი გახლავთ სომხის ერის სულ-

*) ამას წინად ჯერ გაზეთ „სამშობლომ“, შემდეგ სომხურმა გაზეთმა სხვათა შორის მეც მომმართეს თხოვნით გამომეთქვა ჩემი აზრი ქართველ გრიგორიანთა შესახებ. ეს წერილი, რომლის დასტამბვა ჩემი აქ არ ყოფნის გამო დაგვიანდა, პასუხია ამ თხოვნაზე. დაგვიანების მიზეზი ერთი უბრალო გარემოებაც იყო: ჩემთვის საჭირო იყო რამდენიმე ძველი ნომერი ქართულ პერიოდულ გამოცემათა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისში ეს ნომრები ვერ ვიშოვნე, მიუხედავად რომთვის განმავლობაში ძიებისა. ეს უკანასკნელი გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რამდენად საჭიროა საქართველოს ცენტრებში მაინც, როგორიც არის ტფილისი და ქუთაისი, ისეთი წიგნთსაცავი, სადაც სრული ქართული ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები მოიპოვებოდეს. დიახ, ამ მიზეზებმა შემიშალა ხელი დროით მიმეწვდინა მკითხველი საზოგადოებისათვის ჩემი აზრი, და არა იმ გარემოებამ, ვითომც ქართულს გვარტომობას უარვყოფდეთ და ამიტომ სიჩუმეს ვარჩევდეთ, როგორც ზოგიერთებმა განმარტეს ეს უბრალო შემთხვევათა გამო გმოწვეული დაგვიანება პასუხისა.

გრ. გვ—ნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში საუკუნოებით განმტკიცებული, ღრმად ფესვ-გამდგარი აზრი, რომლის მიხედვით სომხის ეროვნება და გრიგორიანობა ერთი განუყრელი ცნებაა, ორგანიული ერთსახეობაა. სომხის წარმოდგენით, მისი სარწმუნოება და ეროვნება ისე გადაწნული, შედუღებულია ერთმანეთთან, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. არა არს გრიგორიანი, გარეშე სომეხისა ვინც გრიგორიანია, ის უსათუოდ სომეხიც არის. ხოლო ვინც სომეხია, ის გრიგორიანია, თუმცა და იგი სხვა სარწმუნოებისაც შეიძლება იყოს. ამ უცნაური თეორიით გამოდის, რომ ტომით სომეხს შეეძლო მიეღო კათოლიკეთა, მაჰმადის, ლიუტერის და სხვათა სარწმუნოება, ხოლო სხვა ტომის კაცს, მაგ., ქართველს, არ შეეძლო მიეღო გრიგორიანობა, ვინაიდან გრიგორიანი მხოლოდ სომეხია. გამოდის, თითქო ქართველნი და სხვები სამუდამოდ დაზღვეულნი ყოფილან სარწმუნოების გამოცვლისაგან. ეს აზრი აღმოცენდა სომხის სასულიერო წოდებაში, ვითარდებოდე მთელი საუკუნოების განმავლობაში, თანდათან მოედო სხვა და სხვა წრეს და ბოლოს სომხის ერის ფსიხიკის დამახასიათებელ თვისებად შეიქმნა. ასეთი აზრის სამართლიანობაში ისე ღრმად არის დარწმუნებული თანამედროვე სომეხი, რომ მას ერთი წუთითაც ეჭვი არ ებადება, რომ მის მიერ აღსარებული და მის ძვალსა და რბილში მკვიდრად გამჯდარი შეხედულება ხალისი ჭეშმარიტება არ არის. მართალია, მას შემდეგ, რაც სომხის დემოკრატიულ მასაშიც შეიჭრა ოდნავ სხივი თვითცნობიერებისა, ავ-კარგის გარჩევისა, ეს ღრმა რწმენაც შეირყა და დღეს დემოკრატიულად განწყობილი სომხის ინტელიგენცია და სხვა შეგნებული ნაწილი დემოკრატიისა კრიტიკულის თვალით უცქერის კლერიკალების მიერ შეთხუზულ მრავალ თეორიას და სხვათა შორის არ იზიარებს თეორიას სომხის ეროვნება-სარწმუნონბისას. ერთობისას. სამწუხაროდ, სომხურ კლერიკალიზმისაგან თავდაღწეულთა რიცხვი ჯერ-ჯერობით ერთობ მცირეა...

ამიტომაც არის, რომ სომხური დემოკრატიული პრესა გულ დამშვიდებით იხრის თავს უცილობელ ფაქტის წინაშე, ინდიფერენტულად უცქერის ქართველ გრიგორიანთა საკითხს, მაშინ როდესაც შოვინისტურად განწყობილი ბურჟაზიული ინტელიგენცია და მისი პრესა გაალფთრებული ამტკიცებს უცოდველობას მღვდელ-ბერებისაგან გადმოცემული ახალი ნაციონალური თეორიისას...

რა არის ის საზომი, რომლითაც ადამიანის ეროვნულ პოზიციას ვარკვევთ? რით უნდა ხელმძღვანელობდეთ, როდესაც ამა თუ იმ პიროვნების თუ ჯგუფისა და მთელი სოზოგადოებას ქართველობას სომხობას, რუსობას და სხვა ეროვნებას ვამტკიცებთ?

რომ სარწმუნოება ვერ იქნება ასეთი საზომად,—ეს თავის თავად ცხადია. სარწმუნოება ხომ ერთნაირი რწმენაა რელიგიის სფეროში! როგორც მაგ. პოლიტიკური რწმენის სხვა და სხვაობას არავითარი კავშირი არა აქვს ეროვნების საკითხის განსაზღვრასთან, ისეთივეა სარწმუნოებრივი სხვა და სხვაობა, რომ ერთს ქრისტე სწამს, მეორეს მაჰმადი, ერთი მზეს ფიცულობს, მეორე მთვარეს, ერთი ერთს ხატებზე ლოცულობს, მეორე სხვაზე, ამ საფუძვლით, ამ რელიგიური სხვა და სხვაობის მიხედვით ადამიანთა საზოგადოების დანაწილება ტომობრივ, განა ისეთიივე უდიდესი აბსურდი არ არის, როგორიც იქნებოდა, მაგალითად, ის, რომ ვისმეს მოენდომებინა და ერთის ეროვნული სხეული რამდენიმე ერად წარმოედგინა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ამ სხეულის სხვა და სხვა ნაწილი ერთნაირის სოციალურის, პოლიტიკურის მსოფლხედველობის არ არის? რელიგია აკი მოგახსენეთ, რწმენაა, ხოლო ეროვნება, ეს საერთო შთამომავლობაა, საერთო ისტორიული წარსული, საერთო კულტურა საერთო ენა, ტერიტორია და სხ. მათ შორის არავითარი მიზეზობრივი კავშირი არ სუფევს იმ დროს, როდესაც ამა თუ იმ პიროვნების ეროვნულ სახეს ვარკვევთ. მე და თქვენ ძმები ვართ, ერთი ერის შვილნი მაშინაც, როდესაც ერთიე სარწმუნოებისანი ვართ და მაშინაც, როდესაც ჩვენ სხვა და სხვა რელიგიურ დოგმებს ვიზიარებთ, თუ ჩვენი მამა-პაპა, წინაპარნი ერთი ტომის ხალხი იყო. სარწმუნოება იმდენად უმნიშვნელო, შემთხვევითი ატრიბუტია ადამიანისა, რომ არსად, არას დროს, ეროვნული კლასიფიკაცია სარწმუნოებას არ ემყარებოდა. წარსულსა და დღევანდელს სინამდვილეში მხოლოდ ამას ვხედავთ——ერთს ერს სხვა და სხვა სჯულისას და სხვა და სხვა ერს ერთი სჯულისას. ამიტომ სომხური თეორია კლერიკალებისა, რომლის მიხედვით ვერც ერთი გრიგორიანი სხვა ვერ იქნება, თუ არა ტომით სომეხი, ერთობ განსაკუთრებული თეორიაა, მეტი რომ არა ვსთქვათ ისეთი თეორიაა, რომელსაც ვერც სადილოლოგია და ვერც ისტორიული საბუთები ვერ ამართლებენ.

გრ. გველესიანი.

(შემდეგი იქნება.)

## რუსული პრესა.

გერმანელებმა, რომ მოკავშირეებს საზავო წინადადება მისცეს, რუსეთში ყველაზე ძალიან კადეტები აღშფოთდნენ ამით. მათი მთავარი ორგანო ამის გამო სწერს:

„მტკიცე და გადაწყვეტილი უარი: აი რა პასუხი შეეფერება ჩვენ ღირსებას, მხოლოდ ეს აგვაცდენს იმ მახეს, რომელსაც გერმანელები გვიგებენ.

* *

ზოგიერთი გაზეთი უფრო მბილი კილოთი გამოსთქვამს იმავე აზრს. მაგალითად „ნოვოე ვრემია“ ჰფიქრობს, რომ.

„როგორც ეხლა ისე მომავალში მოკავშირეები საზავო მოლაპარაკების ჩამოგდებას დასთანხმდებიან თუ ცენტრალური სახელმწიფოები: 1) ყველა ცალ ცალკე მიმართავს პირდაპირ მოკავშირეებს ზავის წინადადებით: 2) ამას, ზრდილობიანად მოიმოქმედებენ და არა მედიდურად და 3) თავის პირობებს დაწვრილებით ჩამოსთვლიან.

## მწარე ფიქრები.

I

ყოველ დღე ჟურნალ-გაზეთებში სულის აღმაშფოთებელსა და გულის მომკვლელ ამბებს ვკითხულობთ; მკვლელობა, თავზედ დაცემა, ძარცვა-გლეჯა, დაწვა ქურდობა, უმწეო დედაკაცის გაუპატიურება, ქალის მოტაცება, უსახელო მუქარის წერილების მიწერა, შანტარისტობა და საწყალი ხალხის მოტყუილება——დღეს ყველგან გახშირდა, და ადგილი აქვს, არა მარტო სოფლებში, არამედ ქალაქებშიაც; ხალხი ზნეობრივად დაეცა, გათახსირდა: ძმა ძმას ორმოს უმზადებს, მეზობელი მეზობელს აღარ ზოგავს და მოკვლას ეჩემება; დიდი და პატარა, კაცი და ქალი გაჩარჩდა, მღვრიე წყალში ყველა ცდილობს ბლომად თევზი დაიჭიროს; თავისი მოყვასის გალატაკებასა და გაუბედურებას აღარ ხრივა, ოღონდაც კი მის უბედურებაზე თავისი ბედნიერება ააგოს და უზრუნველ ყოფა მოიპოვოს; ანგარებამ და ფულის შეძენის სიხარბემ ბევრს დაუკარგა ადამიანობა, გარყვნილობამ იმატა, ოჯახური მყუდრო ცხოვრება დაირღვა, შეიბღალა;

არ ვიცით, რა მოგველის! არ ვიცით, როდემდის გასტანს ასეთი არევ-დარევა, ასეთი უსირცხვილობა და ასეთი ჯოჯოხეთური ჟამი! ნუ თუ ისე დავეცით ზნეობრივად, რომ ერთმანეთი აღარ უნდა ვზოგოთ და შევჭამოთ ორიოდე გროშისთვის?! ნუ თუ ისე უნდა გაუჭიროთ ერთმანეთს სიცოცხლე, რომ შიმშილითა და სიცივით უნდა დავიხოცოთ შინ და გარედ?!

სოფლები დაიცალა, მუშა ხელი აღარ არის. ქოხებში სხედან მარტო მოხუცნი, დედაკაცები და ბავშვები, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცები კი ბრძოლის ველზე სისხლსა ღვრიან, იხოცებიან უცხოეთში, სადღაც თოვლ ყინულიან თხრილებში და ამ დროს კი ჩვენში, აქ, ქვეყნის ნაძირალები ურცხვად დაწუნკალობენ და ყოველი მხრით აწიოკებენ უპატრონო ოჯახებს. ვისაც ვაჟკაცობა არ უვარგა, ქურდობა-ძარცვა-გლეჯის შნო არა აქვს, ის სხვა გვარ შანტაჟს ეწევა: ან ექიმბაშობას ჩემულობს, ან საქონლის ექიმობას, ან [illegible]ვექილობს, ან ჯარისკაცობიდან განთავისუფლებას ჰპირდება 45—50 წლის გულ უბრიყვილო მამაკაცს და ამ გვარად და ასეთი საშუალებით ჰკრეჭენ სოფლის ხალხს და ვისაც არც ეს შეუძლია, იგი უსახელო მუქარის წერილებით აშინებს მშრომელ ადამიანს.

გადაავლეთ თვალი დღიურ გაზეთებს და ნახეთ რა ხდება სამეგრელოს სოფლებში, ზემო იმერეთში და სხვაგან... გაზეთის რომელიმე ნუმერს გაშლი თუ არა, ასეთ, სამწუხარო ამბებს წაიკითხავთ. დაუკვირდით ეხლა რა ხდება იმერეთის სატახტო ქალაქ ქუთაისის განაპირა უბნებში: დაძრწიან ყოველ ღამე ბაცაცები და იპარავენ საცვლებს, ტანისამოსს, ჭურჭლებს, თოხს, ბარსა და ნაჯახებს, ბალიშებს ქათმებს, ხდიან ქვევრებს და იღებენ ღვინოს, ჩადიან სარდაფებში, სამზარეულოში, საქათმეებში და სხვა...

ღამე ისე არ გაივლის, რომ რომელიმე უბანში ქურდობა არ მოხდეს; პირობებიც ხელს უწყობს მათ რადგან ასეთ უბნებში ქუჩები და შუკეები ჩაბნელებულია ყველგან, დარაჯები არ არის და არცა ყავს, მამაკაცები ბრძოლის ველზე არიან და რაღა თქმა უნდა დარჩით ცუდ კაცებს შურთი და მოედანი.

ნუ თუ ქალაქის გამგეობას, გუბერნიისა და მაზრის პოლიციას აღარ შეუძლია სასტიკი ზომები მიიღოს და დაიფაროს ოჯახები ასეთი ქურდ ბაცაცებისაგან?!...

ამას წინად ერთმა ჩემმა კარგმა მეგობარმა, ქუთაისში მცხოვრებმა თ. ბახტაძემ შემომჩივლა და თან მიჩვენა უსახელო მუქარის წერილი, რომელშიაც ვიღაც უცნობი სწერს, რომ შენ უსამართლოდ იქცევი და ამიტომ ჯერ შვილებს დაგიხოცავ და მერმედ შენც გაგისტუმრებ საიქიოსო; თ. ბახტაძე მსახურებს ქალაქის გამგეობაში, მას აბარია სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სია, რომელთა შესახებ უნდა შეკრიბოს სწორი ცნობები, თუ რომელი ოჯახი რა პირობებში იმყოფება დღეს და რომელს ერგება კანონის ძალით ფულით დახმარება; შემდეგ ასეთი ცნობები უნდა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას. ის, რამდენადაც ვიცნობ, მშრომელი, პატიოსანი და მიუდგომელი პიროვნებაა და თუ ვერ დააკმაყოფილოს ვისიმე არა კანონიერი თხოვნა და ყალბი ცნობები არ მისცეს გამგეობას, განა ამიტომ ღირსია ლანძღვა-მუქარისა?!

გუშინ ქუთაისის მაზრის, გორას და უხუთის საზ. სოფლებიდან ჩამოსულმა მცხოვრებმა გადმომცა, რომ ამ საზოგადოებებში აღმოჩენილან ერთგვარი შანტაჟისტები, რომლებიც დაძვრებიან სოფელ-სოფელ, აშინებენ ჯარში გაწვევით მათ ვისაც არაფერი არ ეხებათ, ჰპირდებიან შველას და რაც შეიძლება აძრობენ ტყავს და სცინცლავენ გროშებს. აი, რა ხდება დღეს ჩვენში. ყოველივე ზემო ჩამოთვლილი გარემოებებით და გამეფებული ღნამუსობით მწარე ფიქრებს ვეძლევი და ჩემსავე თავს ვეკითხები, ნუ თუ კიდევ დიდხანს გასტანს ამგვარი ჩვენი არევდარევა და ზნეობრივი დაცემა!? ნეტავი როდის ჩადგება ცხოვრება კალაპოტში, როდის ვეღირსებით სულის მყუდროებასა და სიმშვიდეს, როდის გამეფდება კაცთა შორის ძმობა, ერთობა და სიყვარული, რომ თავისუფლად ამოვისუნთქოთ და უშიშრად შეგვეძლოს ცხოვრება?!...

ლადო ბზვანელი.

## ახალი ამბავი.

კვირას მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს ტრაღიკულად გარდაცვლილი დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილის ცხედარი. დაკრძალვას ხალხი აუარებელი დაესწრო, წარმოითქვა აგრეთვე სიტყვები, განსვენებულის კუბო შემკული იყო მრავალი გვირგვინებით.

✦ თეთრ ბილეთიანების ჯარში გაწვევა. უმაღლესი ბრძანებით 15 დეკემბრიდან ხელმეორეთ შეამოწმებენ თეთრ ბილეთიანებს 1909—1901 წლებისას. შემოწმებული იქნებიან ის პირნი, რომელნიც გაანთავისუფლეს 1915 წლის 1 აგვისტომდე.

✦ კვირას, შავი ქვის სახლის შენობაში შესდგა წ. კ. საზოგადოების კრება, რომელზედაც განსახილველი იყო საზოგადოების სტამბის გაყიდვის საკითხი. იქონია რა მსჯელობა კრებამ ზემოხსენებული საკითხის შესახებ 27 ხმით—წინააღმდეგ 26—სა უარყო სტამბის გაყიდვა.

✦ რედაქციამ მიიღო ორკვირეულ სამეურნეო ჟურნალ „სასოფლო გაზეთის“ მორიგი ნომერი ჟურნალი შინაარსიანად არის გამოცემული.

✦ ამ დღეებში ქალაქის გამგეობის წევრი არდიშვილი გაემგზავრება ქ. თბილისში, რომელიც ჩაიბარებს საინტენდანტოდან იმ 20 ვაგონ შაქარს, რაიც შეძენილი აქვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას და ეცთება გამოგზავნის საქმის მოწესრიგებას.

✦ ქალაქის გამგეობას ქ. ფოთში რეკვიზიცია უყვია კიდევ 9 ვაგონი პურის ფქვილისთვის, როგორც დანამდვილებით გავიგეთ ეს პურის ფქვილიც ისეთი ყოფილა, როგორიც ამ ჟამათ არის ქუთაისში.

✦ 15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის სასურსათო საქმეების მომწესრიგებელ კომისიის კრება, რომელზედაც განაწილებული იქნება ადგ. ვაჭართა შორის ვაგონები, ადგილობრივი და პირდაპირი მიმოსვლისათვის.

✦ საკანდიტეროების პატრონები ხალხს უსირცხვილოდ ძარცვავენ, მათ თავაშვებულობას საზღვარი არა აქვს, თითქმის ყოველდღე უმატებენ ფასებს რძეს, მაწონს და სხვ. ნიხრის ძალით საკანდიტეროებში $1/2$ გირვანქიანი „ბულკი“ უნდა იყიდებოდეს 8 კაპ. და ნაცვლა ამისა ეს ვაჟბატონები $1/4$ გირ. პურს ორ შაურათ ჰყიდიან. საჭიროა მათ ყურადღება მიექცეს.

✦ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომთა კანცელარიის გამგეს ილ. ბახტაძეს ქ. თბილ. სამუშაო „ბრიგადის“ უფროსი აგრონომი დანილევსკი წინადადებას აძლევს რომ შეიძინოს თესლეულობა: სიმინდის, ლობიოს, (თეთრის და წითელის) იაპონური ლობიოს (სოია) ხახვის და ნიორის, ზემოაღნიშნული თესლეულობით განზრახულია დაითესოს ოსმალეთის ახლად დაპყრობილი ადგილები.

✦ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომმა ა. მ. ვასილიევსკიმ ბაქოდან კრასნოვსკისაგან ცნობა მიიღო რომ მას აქვს გასაყიდი დიდ ძალი შაბიამანი და გოგირდი. ხსენებული პირი შაბიამანს აფასებს ფუთს 27 მან. ხოლო გოგირდს 16 მან.

✦ როგორც ხონიდან გვატყობინებენ, იქ მოწაფეთა შორის გაჩენილა გადამდები სენი „ხუნაგი“, რის გამო ზოგიერთ სწავლებელში მეცადინეობა დროებით შეწყვეტილა.

✦ მევენახეობის კურსები. დღეს 12 დეკემბრიდან ს. რიონში (ქუთაისის მაზრ. ქუთ. მევენახეობის და მეღვინეობის უფროსი ინსტრუქტორი ლ. ქიქოძის ხელმძღვანელობით გაიხსნება ერთი კვირით უფასო კურსები. კურსებზე შეასწავლიან უფასოთ ვაზის მყნობას და გასხვლას. ასეთივე კურსები გაიხსნება ს. ჰოგნარში ს. საჯევახოს ახლოს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ვასო ჰითავას მოიწვიოს 15 დეკემბრისათვის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში, ქუთაისში მცხოვრებ ლიტერატორთა კრება, „ქუთაისის ლიტერატორთა საზოგადოების“ წესდების შესამუშავებლად.

✦ „რეგულიატორის“ გამგემ ი. გიბილაიამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა იმ შაქრიდან რაც ამ ახლო მომავალში ქუთაისში იქნება მიღებული, დაუთმოს მას რამოდენიმე ვაგონი სოფლის კოოპერატივებისთვის გასანაწილებლად. გუბერნატორმა გბილაიას შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

✦ რადგან სოფლის კოოპერატივებისათვის ამ ჟამათ რკინის გზით საქონლის გადაზიდვა თანდა თან ძნელდება, ამის გამო საზ. „რეგულიატორის“ გამგემ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ნება დართოს მას, სოფლის კოოპერატივების ხარჯით შეიძინოს საბარგო ავტომობილი, ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

✦ ქიმიური ლაბორატორიის გამგემ ქალაქის თვითმართველობას წარუდგინა ანგარიში, ამ ანგარიშის მიხედვით ნოემბრის განმავლობაში გაუკეთებია ანალიზი შემდეგი სანოვაგის ნიმუშის: რძის 24, საპნის 2, ძეხვის 1, ფქვილის 4, პურის 16, კობოსტოს 1, ღვინის 76.

✦ დ. დანჩხუთიდან გვატყობინებენ რომ იქ საქონლის ჭირი თანდათან საშიშ სახეს ღებულობს. ჭირის საწინააღმდეგოთ საზოგ. ექიმი აცრასაც შესდგომია, მაგრამ ამ საშვალებას მეტი ზიანი მიუყენებია საქონლის პატრონთათვის, ანაცარი საქონელი თითქმის სულყველა დახოცილა.

## ორი ლექცია.

კვირას, 11 დეკემბერს ქ. თეატრში მოვისმინეთ. სახალხო უნივერსიტეტის მიერ გამართული ორი ლექცია. ერთი მათგანი შეეხებოდა ქართველების ნიჭს ხელოვნების სფეროში, ხოლო მეორე ამავე ერის სიბრძნეს და მეცნიერულ აღლოს აზროვნების დარგში.

პირველი ლექცია ბესიკ გაბაშვილზე, წაიკითხა ბ-ნ ალ. თორაძემ, მეორე კი საბა-სულხან-ორბელიანზე ქართველ ლექტორთა შორის ცნობილმა ბ-ნ ალ. გარსევანიშვილმა. ორივე ლექცია დიდად საინტერესო იყო.

ბ-მა ალექსანდრე თორაძემ ნათლად გაარკვია მთავარი მოტივები ბესიკ გაბაშვილის შემოქმედებისა. ლექტორმა აღნიშნა ის სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენი მოწინავე [illegible] უფრო კარგად იცნობს, რომელიმე უცხო ლიტერატორებს,—თუ გნებავთ ბალმონტებს,—ვიდრე ბესიკ გაბაშვილს და ან კიდევ ალ. ჭავჭავაძეს. ამ შემთხვევაში ლექტორმა საშუალება მისცა მსმენელებს ჩაკვირებოდენ იმ ფაქტს, რომ დღევანდელს ჩვენს მგოსნებში გაღმერთებული უცხოელთა ლიტერატურული მიმდინარეობა, ქართველ ერმა ასი წლით ადრე განვლო, და რომ ხელოვნების ზოგიერთს დარგში ბალმონტები და მზგავსნი მათნი ახალს ვერაფერს გვეტყვიან.

არა ნაკლები საინტერესო იყო ბ-ნ ალ. გარსევანიშვილის ლექცია. ვერც ერთმა ქართველმა ლექტორმა ვერ აუღო ალღო თავის აუდიტორიას ისე და იმ რიგად, როგორც ეს ბ. ალ. გარსევანიშვილმა შესძლო.

ეს ერთად ერთი ლექტორია ჩვენში, რომელიც ღრმად ჩასწვდა ქართველი მსმენელის პსიხოლოგიას, და მოუნახა მას შესაფერისი საშუალება. მართლაც და ადვილი საქმე როდია, საზოგადო გულცივი და ინდივიდუალისტი ქართველის ყურადღებისა თუ სიყვარულის დამსახურება. ამისთვის დიდ ნებისყოფასთან, დიდი გულწრფელობაა საჭირო.

მშრალს პათოსსა და უსიცოცხლო ფორმალურ მჭერმეტყველობას ხალხი მხოლოდ პირველ შეხვედრაზე სცემს პატივს. კერძოთ თუ გინდათ მიიპყროთ ქართველი კაცის ხანგრძლივი გულისყური და პატივისცემა, მრავალ სხვა ღირსებასთან, უშრეტი ნების ყოფაც უნდა შეგწევდეთ, რათა თვით თქვენზე არ იქონიოს გავლენა მისმა ჩვეულებრივ უდისციპლინობამ და კერძოობითი პსიხოლოგიამ. როგორც ეტყობა ყოველივე ეს ბ-ნ გარსევანიშვილს, საკმაოდ გათვალისწინებული აქვს. მისი ლექციების თემა არ არის უდროვო ან დაგვიანებული. ამ უკანასკნელ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დროისა და პირობების შეუფერებელი საკითხები, ხალხს ვერ მიიზიდავს.

მაღალი და უხეში ენით არ მოგვითხრობს ამბავს და ესეც დიდი ღირსებაა, რადგან თვით ქართული ენა ერთობ დამდგარი და დარბაისლური ბუნებისაა. თითოეულ მის სიტყვებში აშკარა გულწრფელობა გამოსჭვივის, ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ლექტორი ხალხშიც იმას ამბობს, რასაც კერძოთ ფიქრობს, რაც თითონ სწამს.

ბ-ნ გარსევანიშვილის ლექცია სოლომონ ლეონიძეზე, რომელიც ამას წინად წაიკითხა, საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, თუ რამდენად ახლოსაა ლექტორი ქართველი ერის რეალურ ინტერესებთან. საქართველოს გაერთიანების იდეა, რომლის საუკეთესო დამცველი იყო სოლომონ მსაჯული, და რაც მას საფლავში ჩაჰყვა, არასოდეს არ ყოფილა იმდენად აუცილებელი, რამდენადაც დღეს. სწორედ დღეს მტკიცდება ჩვენში საქართველოს გაერთიანების აზრი და ამ საკითხის ისტორიული გადაშინჯვა ერთი ორად სასარგებლოა.

ასეთივე ხასიათი ჰქონდა ბ-ნ ალ. გარსევანიშვილის უკანასკნელ ლექციას საბა სულხან ორბელიანზე.

ლექტორმა წმიდა ქართული ენით გაგვაცნო პირველი ქართველი მეცნიერის ბიოგრაფია, სამწერლო მოღვაწეობა და დიპლომატიურ ნიჭი.

საბა სულხან ორბელიანის ერთი საუკეთესო შრომა, ქართული ლექსიკონი, რა თქმა უნდა პირველი არ იყო ჩვენს მწერლობაში. ასეთი შრომა ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში მოგვცა ეფრემ მცირემ, მაგრამ ისეთი მეცნიერულად დამუშავება, ქართული ენისა, როგორც ეს საბამ შესძლო, დღევანდელმა მრავალ-მეტყველმა ქართველმა ინტელიგენტმაც ვერ მოახერხა.

ბ-ნ ალ. გარსევანიშვილმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, იმაში რომ ქართველებს დიდი ინტელექტუალური ბუნება აქვთ, და რომ ეს ბუნება მთელი თავისი სიძლიერით მოევლინება ერს, მხოლოდ ხელსაყრელი ეროვნული ცხოვრების პირობებში.

ეგრისი.

## კავკასიის ქრონიკა.

— **თიანეთი.** სოფელ ბორალასმასთან საერობო დარაჯთა რაზმს ყაჩაღების ჯგუფი შეხვდა. ასტყდა საშინელი სროლა, ყაჩაღთაგან დაიჭრა ორი კაცი, მათი ვინაობა ჯერ გამორკვეული არის.

— **თელავი.** გიორგი ბაბოევს სახლში შეუცვინდენ ბოროტ-გამზრახველები და ათასი მანეთი მოსთხოვეს. უარის გამო ბაბოევს რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ასცდა. შემდეგ ასი მანეთი მისცე და დაიჯერეს, რომ მეტი არა გვაქვსო.

— **ოზურგეთი.** ქალაქის თვითმართველობა შეუდგა ნატანების და ოზურგეთის შუა რკინის გზის შტოს გაყვანას. ამ საქმისთვის ასი ათასი მანეთია გადადებული.

— **ბათუმი.** საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის გაყოფილების მდივანი ბ. კ. კობახიძე უკვე გაემგზავრა ჭანეთში ადგილობრივ მკვიდრთა მდგომარეობის გასაცნობად.

— **დ. ახალსენაკი.** როგორც გაზეთებში აღნიშნული იყო სენაკის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გაუქმებული უფლება აღდგენილ იქმნა მორიგი წარმოდგენა 10 დეკემბერს გაიმართება. წარმოდგენილი იქნება „თამარ ბატონიშვილი“. დრამა 5 მოქმ.

— **დ. სამტრედია.** აქ ლოთობამ უკიდურესობამდის მიაღწია; ქუჩაში ისე ვერ გაივლით, რომ მთვრალი კაცი არ შეგვხვდეთ. მიკიტნები გაიძახიან: „ამდენ ღვინოს ვერც მაშინ ვყიდდით, როცა ჩარექა ერთი აბაზი ღირდაო“.

— სამტრედიის სადგურზე ჯიბგირების თარეშია. მგზავრს ჯიბიდან ფულებს აცლიან. ერთ მამასახლისს რევოლვერი ამოართვეს. ყაჩაღების თარეშს ჯიბგირების თავხედობაც ზედ დაერთო.

— **დ. ლანჩხუთი.** 25 ოქტომბერს აქ ლანჩხუთის აგრონომიური ორგანიზაციის წარმომადგენლის ვიქ. შანიძის ხელმძღვანელობით მოხდა ლანჩხუთის რაიონის მეურნეთა და კოოპერატივების წარმომადგენლების კრება. კრებას დაესწრო ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის გამგე ბ. ი. ქუთათელაძე. კრებას მოხსენდა: აბრეშუმის თესლის შეძენა, ბოსტნეულობის თესლის გამოწერა, ნამყენი ხეხილების და ფოთლის შეძენა, დაფნის ფოთლის გაყიდვა და შაბიამანის შეძენა. ბ-მა ქუთათელაძემ დამსწრე საზოგადოებას აუხსნა დღევანდელი მდგომარეობა და ურჩია ხალხს აბრეშუმის თესლის დროზედ შეძენა.

## წერილი მოსკოვიდან.

მკითხველ საზოგადოებას უკვე მოეხსენება, რომ ქალაქ მოსკოვში არსებობს ქართველთა საზოგადოება; სახელდობრ სამზარეულოს ქუჩაზე, სუხადოლსკის სახლში. ამავე შენობის მეორე სართულში არის მოთავსებული ზუბალაშვილის სახელობის ქართული ლაზარეთი, რომელშიაც მარტოოდენ ქართველი ჯარის კაცები წვანან. ქართულ საზოგადოების დარბაზში, რომელიც იმავე შენობაში იმყოფება, მოთავსებულია: სამკითხველო, ბიბლიოტეკა და სხვა. ამავე შენობაში შაბათობით იმართება ხოლმე „ჩაი“. „ჩაიზე“ იკრიბებიან განსაკუთრებით სტუდენტები ქალები და ვაჟები) რომლებიც კითხულობენ სცენებს, ლექსებს, ცეკვავენ, მღერიან და სხვა სამწუხაროდ, „ჩაის“ ბოლოს დროს ალარავინ ესწრება. რად მოწყინდა აქაურ საზოგადოებას ერთად შეკრება, და სჯა-ბაასი, ჯერ გამოურკვეველია.

არასოდეს არ დამავიწყდება 17 სექტემბერს გამართული პირველი „ჩაი“. ამ საღამოს ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა აუარებელი ქართველი ახალგაზდობა ვნახე. თავი ქუთაისის თეატრში მეგონა, როცა სტ. ი. ვ. ბალანჩივაძემ იმერული სცენები წაიკითხა. ამ ახალგაზდას სცენების წაკითხვაში დიდი ნიჭი ეტყობა. 17 სექტემბერს ამ გადმოკარგულ ჩრდილოეთში პირველად გავიგონე მომაჯადოვებელი ქართული სიმღერა, პირველად მოვისმინე მგოსან ი. მჭედლიშვილის ლექსები და ვთქვი: „საქართველო არ მოშკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“ მეთქი.

სამწუხაროდ ეს ყოველივე აღმოჩნდა დროებითი, ყოველივე გაჰქრა და დღეს შაბათობით დარბაზი ცარიელია. ამხანაგი ბალანჩივაძე მაინც გულს არ იტეხს და სულით და გულით მოწადინებულია აქ გადმოხვეწილ ქართველ შეკრება-დაახლოვებას. შაბათს 19 ნოემბერს საკუთარი კინემატოგრაფის აპარატით აქაურ ქართველ დაჭრილ ჯარის კაცებს ბ-ნმა ბალანჩივაძემ უჩვენა რამდენიმე სურათი, თანამედროვე ცხოვრებიდან. რისთვისაც საზოგადოების თავმჯდომარემ დიდი მადლობა გამოუცხადა. კარგი იქნება, რომ ბალანჩივაძეს სხვებიც წაბაძავდენ და დაჭრილებს მიხედავდენ.

ქართულ ლაზარეთში წევან შემდეგი დაჭრილები:

1. ილარიონ გრიგოლაშვილი.
2. ნიკოლოზ ელისაშვილი.
3. ნიკოლოზ ნანიაშვილი.
4. რაჟდენ კოდარეიშვილი.

16 ნოემბრიდან დიდი ყინვები დაიჭირა.

იურიდიული ფაკულტეტი გაათავეს: შოთა დადიანმა და ირაკლი ამირეჯიბმა, რომლებიც საქართველოსკენ გაეშურენ.

მან — ნარა.

## სომეხთა შორის.

„ჰორიზონის“ სიტყვით კანსტანტინოპოლში ახალგაზდა ოსმალთა განკარგულებით სომეხთა კონსტიტუცია (საჰმანაუთუნ) მოუსპიათ და სტამბოლის პატრიარქი ზოვენი იერუსალიმს გაუზავნიათ და გზაზე მოუკლავთ.

— 2 დეკემბერს ბაქოში სომეხთა ორგანიზაციების საერთო კრება მოხდარა. კრებას შემდეგი რეზოლიუცია გამოუტანია: ადგილობრივ უმაღლეს მთავრობას გაეგზავნოს დეპეშით პროტესტი იმ საერობო კანონ-პროექტის წინაალმდეგ, რომელიც მეფის მოადგილის კანცელარიამ ამიერ კავკასიისათვის შეიმუშავა და რომელიც კავკასიის სომხების ელემენტარულ და სამართლიან მოთხოვნილებებს ფეხით სთელავსო.

## პროვინციის ცხოვრება.

**ს. ჯუმათი.** 23 ნოემბერს ჯურუყვეთის სასოფლო სამართველოში შემდეგი ამბავი დატრიალდა: ღვინით გალეშილ-გამხეცებულმა მწერალმა თავი გაუწყრა და შემდეგ რევოლვერით სასიკვდილოთ მიაშურა 60 წლის მოხუცს პალესტინე გოგიჩაიშვილს, რომელიც საზოგადოებაში საუკეთესო პიროვნებად ითვლება. მწერლის ამგვარმა ქცევამ საზოგადოება ძლიერ აღელვა და მოითხოვეს გამხეცებული მწერლის გაძევება.

— საქონლის ჭირმა იკლო, მაგრამ ჩარჩვაჭრებმა ისედაც დაცალეს სოფელი საქონლის ჭირი მატულობსო და შემდეგ საქონელი ჩალის ფასად ხელში ჩაიგდეს. ძლიერ საჭიროა ამ სამწუხარო მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

— **შავშეთი.** მშვენიერი, ბუნებრივად მდიდარი, ადგილი, მაგრამ დღეს უბედოვერში დიდ აუტანელ მდგომარეობას განიცდის. ხალხი სრულიად განუვითარებულია. სოფელს ერთი მეორესთან გზა არა აქვს, რომელზედაც ჩვენებურ ურემმა შესძლოს გავლა მუშაობენ მარხილით. მიაქვთ არა უმეტეს ხუთი ფუთისა მთელ შავშეთში, სადაც თითქმის 30,000 მცხოვრები იქნება, მარტო ერთი ერთ-კლასიანი სკოლაა. წერა-კითხვის მცოდნე კაცი იშვიათად შეგვხვდებათ.

**სოფ. უწერა.** (რაჭა) ძნელად თუ საქართველოს რომელმე მხარე იყოს ისე გაჭირვებული, როგორც არის საზოგადოთ ზემო რაჭა, ამის უმთავრესი მიზეზი უგზოობა და მცხოვრებთა უკულტურობაა.

— **სამეგრელო.** ჩაის კულტურის საქმე სამეგრელოში 10—12 წლის წინად დაიწყო. საცდელად პატარ-პატარა პლანტაციები გააშენეს ხობში, ბიაში, ხეთაში, ციაში, ზუგდიდში, კოტიანეთში, გურძემში, სალხინოში, და სხვა. ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო. გამოირკვა, რომ ჩაის მცენარე კარგად ხარობს სამეგრელოს ქვერ ადგილებში წითელ მიწაზე. კირნარევ ნიადაგს ჩაი ვერ იტანს. და ამნაირ მიწაზე სრულებით არ ხარობს.

## რუსეთი.

ცნობილ სპეკულიანტების, რუბინშტეინისა და ვილსონის საქმე სრულიად მოუსპიათ.

— საგარეო მინისტრად ნამყოფი ს. დ. საზონოვი პეტროგრადში დაბრუნებულა. ამბობენ, მას დიდ თანამდებობაზე დანიშნავენო.

— სახელმწიფო საბჭოს კულუარებში ხმა გავრცელდა, რომ შეერთებულ თავადაზნაურობის უმრავლესობას რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ მოხსენება შეუდგენია და ხელმწიფე იმპერატორისათვის წარუდგენია. მემარჯვენეებს თავისი მოხსენება წარუდგენიათ იმავე საგანზე და საჭიროდ სცნობენ მემარცხენეებთან ბრძოლის გაძლიერებას.

— სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირი და საერობო კავშირი დიდ ქონებრივ ხელმოკლეობას განიცდიან. პროტოპოპოვს საჭიროდ უცვნია 25 მილ მანეთი გადასდოს მათთვის.

— სწალა განათლების მინისტრს წინადადება მიუცია რკინის გზათა გამგეობებს, რომ იმ თანამდებობაზე, რომელთა შესრულებაც ფიზიკურ შრომას არ მოითხოვს, ქალები დანიშნონ.

— მარკოვ მეორის ცნობილი სიტყვა, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია სათათბიროში, მემარჯვენეებს 150000 დაუბეჭდიათ და პროვინციაში დასარიგებლად დაუგზავნიათ.

— თ-დ ვასილჩიკოვის მეუღლეს შეუდგენია რუსეთის უკანასკნელი დროის შინაურ ცხოვრების მიმოხილვა. მას დაუხასიათებია სახ. საბჭოს, სათათბიროსი და გაერთიანებულ თავადაზნაურთა სულისკვეთება და დაუძენია, რომ უმაღლესი წრეების უკმაყოფილება გასცილდა საკანონმდებლო დაწესებულებათა კედელს და ხალხიც იმავე გრძნობით გაიმსჭვალა. ქ-ნ ვასილჩიკოვისას მიმოხილვა მეუღლის უჩუმრად შეუდგენია და, როგორც კი გაუგეს, მაშინვე აიძულეს სატახტო ქალაქს მოსცილებოდა.

— პროტოპოპოვის ბრძანებისამებრ პოლიციის დეპარტამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა მოხსენება რუსეთის სარევოლუციო ორგანიზაციების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია შემდეგი: ომის განმავლობაში მოსწავლე ახალგაზრდობა პროპაგანდისაგან განთავისუფლდა, ზოგი პარტია, როგორც მაგალითად სოციალისტ-რევოლიუციონერებისა სრულიად მოისპო. დანარჩენი პარტიები მოხსენების სიტყვით, საზღვარგარეთიდან ღებულობენ დირექტივებს. რაც შეეხება სათათბიროს მემარცხენე პარტიებს, პოლიციის დეპარტამენტის აზრით, მათ არავითარი კავშირი არა აქვთ რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან.

— მე-87 მუხლით ხშირად სარგებლობის გამო, როგორც ვიცით, სათათბიროში მემარცხენეებმა შეკითხვა შეიტანეს. ეს მუხლი ძირითად კანონებისა მთავრობას ნებას აძლევს ახალი კანონი გამოსცეს სათათბიროს დაუკითხავად, როდესაც უკანასკნელი დათხოვნილია. დეპუტატმა ჩხენკელმა თავის სიტყვაში აღნიშნა შემდეგი გარემოება: თურმე მინისტრები განზრახ სდებენ პროექტების შეტანას სათათბიროში მის დათხოვნამდე და აწვერენ: გადაიდოს სათათბიროს სხდომების შეწყვეტამდე.

## უცხოეთი.

ინგლისური გაზეთის ცნობით გერმანელები ითვისებენ იმ სურსათს, რომელსაც ამერიკიდან პოლონელებს უგზავნიან.

— საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ბევრს ლაპარაკობენ მეფე კონსტანტინეს გადაყენებას და ტახტზე მეფის ძმის წულის, 9 წლის პრინც პეტრეს აყვანის შესახებ. თუ ეს მოხდა რეგენტად ვენიზელოსი დაინიშნება.

— გერმანელებს ლიტველი სამხედრო ტყვეები უკვე გამოუყვიათ და წრთვნიან. დანიიდან მოსული ერთი ცნობა ამას იმით ხსნის, რომ გერმანეთს განზრახვა აქვს ლიტვის დამოუკიდებულება გამოაცხადოს და იქიდანაც, როგორც პოლონეთიდან ჯარი გაიყვანოს, ხოლო მანამდე კი ტყვე ლიტველებს მოამზადებს და გაწვრთნის.

— პოლონეთში უკვე შემოუღიათ პოლონურ ენაზე წერილების გზავნა.

— ისპანიის საზღვაო ქალაქ ბარსელონაში გერმანიის საკონსულოს წინ მტრული დემონსტრაცია მოუხდენიათ.

— რუსული გაზეთების ცნობით ჩინეთს მოკავშირეებისათვის განუცხადებია, რომ იგი მზათაა მიემხროს მათ.

— ბერლინიდან იტყობინებიან, რომ პოლონეთის სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში იქნება მოწვეული, ხოლო პოლონეთის ეროვნული ყრილობა კი-თებერვალში.

— გერმანეთის მთავრობას ბერლინში რამდენიმე დიდი შენობა ჩამოურთმევია პატრონებისათვის და შიგ მოუწყვია სახელმწიფო სასადილოები, რომლებშიაც მცხოვრებნი იაფ საკვებს მიიღებენ.

— ბულგარეთის სამხედრო სასამართლომ უკვე დაასრულა ცნობილ რუსოფილ ნიკოლოზ გენნადიევის პარტიის საქმის გარჩევა. სასამართლოში მიცემული იყო 13 კაცი; ამათგან გენნადიევს მიუსაჯეს 10 წლით კატორღა, დანარჩენებს კი რვა რვა წლით, ყველას ჩამოართვეს ქონება და 5 წლით უფლების აყრა გადაუწყვიტეს.

— ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაცია რუმინეთში მისულა. მისი მიზანია პროპაგანდა გასწიოს რუმინიის ინტელიგენციაში.

## ვაჭრობა მრეწველობა.

ემილ ცინდელის ფართლეულების ცნობილი ქარხანა ბაზრის მდგომარეობის შესახებ მუდამ თვიურად ცნობებს ბეჭდავს. სექტემბრისა და ოქტომბრის ფურცლები გვაუწყებენ, რომ ბოლო ხანში სხვა და სხვა ფართალი ერთობ შემცირდა ბაზარზე, რადგანაც ჯარის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ აუდიან ქარხნები. ბამბის ფასიც 36 მანეთამდე ასულა ფუთზე. მოელიან, რომ ფართლის ფასი კიდევ იმატებს.

— ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მფარველობით და დახმარებით არსდება „რუსეთის ბამბის მრეწველთა ამხანაგობა“, რომელშიაც რუსეთის თითქმის ყველა ბამბისმრეწველი შედის. ამ საზოგადოებას აზრადა ჰქონია თურქესტანში და ამიერ კავკასიაში ბამბის მოყვანის საქმე წინ წასწიონ და განავითარონ.

— ყველასათვის ცხადზე უცხადესია, სამრეწველო და სარკინისგზო ამხანაგობათა მოგება წინა წლებთან შედარებით ერთი ორად და ერთი სამად გაიზარდა. მაგალითად რუსეთის სამი კერძო რკინისგზის მოგება მარტო 1916 წლის სექტემბერში 3 ნახევარ მილიონით გაზრდილა.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | 5 ს. 18 | „ |

**მასაჟისა და სახის სამკურნ. კაბინეტი**
# მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეწეკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც და ავრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი. № 17.

ქ. თფილისში დაარსდა
# მელნის ქარხანა
# „ალაროდია“
**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,**
## ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**
მელანი ასლის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.
**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.
**მისამართი:** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „**ალაროდია**“.

# ავათმყოფნი სუსუნატით
დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.
ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.
**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.
**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**
ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მოშანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ყურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**
ტროვსკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)